საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ი. ხარებავას
რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის
უფროსის ს. შავგულიძის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო იოსებ,

თქვენი დეპარტამენტიდან შემოსულ სამსახურებრივ ბართთან (შ-10/6141-15, 20.08.2015) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დანართის სახით წარმოდგენილი მასალის მიმართ რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს შენიშვნები არ გააჩნია. ამასთან უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა: საგარეჯოსთვის 21-ე სატელევიზიო არხისათვის ცენტრალური სიხშირე შეადგენს 474 მჰც-ს და არა 522 მჰც-ს.

სხვა ცვლილებების შეტანა შესაბამის გადაწყვეტილებაში არ არის საჭირო.

პატივისცემით, ს. შავგულიძე 25.08.2015 ს. შავგულიძე

შ-10/6270-15
25.08.15
1+1

რადიოსიხშირეთა მართვის დეპატამენტის უფროსს
ბ-ნ ს. შავგულიძეს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ი. ხარებავას

# ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი  ბ ა რ ა თ ი

ბატონო სერგო,

კომისიის აპარატის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა განახორციელა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B, MUX D და №MUX E ლიცენზიებით გათვალისწინებული მირითადი გადამცემი სადგურების განთავსების გეოგრაფიული კოორდინატების, შესაბამისი სიხშირული რესურსის და ტექნიკური პარამეტრების გადანაწილება იმ თანმიმდევრობით როგორც ამას ითხოვს შპს "სტერეო+" კომისიაში 2015 წლის 5 აგვისტოს წარმოდგენილი წერილით.

გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი შენიშვნები აღნიშნულ გადანაწილებასთან დაკავშირებით, ასევე გვაცნობოთ ზემოაღნიშნული გადანაწილებიდან გამომდინარე ხომ არ არის საჭირო რაიმე ცვლილების შეტანა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B, MUX D და №MUX E ლიცენზიების გაცემის შესახებ კომისიის 2014 წლის №363/1 გადაწყვეტილების პირველი. მე-2 და მე-3 პუნქტების შენიშვნა 3-ში.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის 2014 წლის №363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებები შევიდა კომისიის 2015 წლის 362/2 გადაწყვეტილებით.

პატივისცემით,

ი. ხარებავა
20.08.2015

ყ-10/6141-15
20 08 15
1+6